# სასოფლო გაზეთი

Кр. 1202. 107 9/4


| გაზეთის ფასი: | |
|---|---|
| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
| ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. — |

მეხუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელისმოწერა მიიღება.

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ხარფუხის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи* «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» *при типографіи Г. Церетели и К°. (Дубелира*

№ 1 შაბათი · IV · 15 იანვარს, 1872 წ.


შინაარსი:

მოკლე ანგარიში ლოჭინის სამეურნეო შკოლისა: «სასოფლო გაზეთის» კორესპონდენცია.—გადამდები ყვავილი.—სავაჭრო ცნობები რუსეთიდამ.—წვრილი ამბები.—კერძოებითი განცხადება.—განცხადება ამ წლის «სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე.

## მოკლე ანგარიში

### ლოჭინის სამეურნეო შკოლისა.

«სასოფლო გაზეთის» კორესპონდენცია ლოჭინიდამ.

ლოჭინის სამეურნეო შკოლის გახსნის დროს სახეში ჰქონდათ, რომ პირველ წელიწადს ათი შაგირდი სახელმწიფო ხარჯზედ მიეღოთ და ხუთიც თავიანთ ხარჯზედ, მაგრამ, რადგანაც ამ შკოლაში შესვლის სურვილი კიდევ ბევრსა ჰქონდა, ამისათვის წარსულ წელში იმელებულ ვიყავით მიგვეღო ცხრამეტი შეგირდიც კიდევა, ასე კი რომ სახელმწიფო ხარჯით მიღებულ შეგირდების რიცხვს არა დაჰკლებოდარა.

რადგან ამ შკოლაში მისადები შეგირდები სწავლით ერთმანეთისგან მალიან ირჩეოდნენ გ. ი. ზოგმა მეტი იცოდა და ზოგმა ცოტა, ამისათვის ყველა იგინი ერთ კლასში არ დავსხით. ზოგმა მათგანმა რამდენათმე იცოდა არითმეტიკის ოთხი მოქმედება და კიდეც შეეძლოთ საკმაოდ თავისუფლად რუსულად ლაპარაკი, ხოლო ზოგი კი ის იყო ახლად სწავლობდნენ კითხვას და არც კარგად ესმოდათ წაკითხული. ამისთვის საჭიროდ დავინახეთ, რომ ეს შკოლა ორათ გაგვეყო და გავყავით კიდეცა: პირველ განყოფილებაში ცხრა შაგირდი დავსვით და მეორეში ათი.

შკოლას შემდეგი საშუალება ჰქონდა სწავლისათვის: შკოლის გახსნის დროს მასში მასწავლებლებად ირიცხებოდნენ: მსწავლული-მეურნეობის კარგათ მცოდნე ანუ აგრონომი-გეევსკი, ექიმი დავიდოვიჩი და მსწავლული მებაღე თავადი ციციშვილი; ამათ ბოლოს დროს მიემატა მღვდელი ბოლომოლოვი, რომელიც საღმრთო წერილს ასწავლიდა. აგვისტოში ექიმმა დავიდოვიჩმა თავი დაანება შკოლას და ამისათვის შკოლის შეგირდებს დანარჩენი სამი პირიღა ასწავლიდა.

დაბალი კლასის შეგირდები წარსული წლის გასვლამდინ ოთხი არითმეტიკული მოქმედება გაიარეს, სწავლობდნენ კარგად კითხვა-წერა და უმთავრესი ლოცვებიც კარგად გაიხ[illegible]რეს.

მაღალი კლასის შეგირდები ამავე დროსვე სწავლობდნენ: ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიას; გრამატიკიდამ ისწავლეს სახელი არსებითი, ზედ-შესრული სახელი და ნაცვალ-სახელი; არითმეტიკიდამ საფუძვლიანად გაიარეს პირველი ოთხი მოქმედება, რომლებიც შკოლაში შემოსვლის წინად მალიან სუსტად იცოდნენ. ბუნებითი საგნებიდგან გაიარეს: პირველ დაწყებითი ცნობა ფიზიკიდამ და ქიმიიდამ, რომლებიც საჭირონი იყვნენ უბრალო მიწის მუშაკისთვის, რომლებსაც თვალით აჩვენებდნენ და იმათ საქმეში გამოყენებას აჩვევდნენ, რამდენთაც კი საშუალება ნებას აძლევდა; გაიცნეს შინაური ცხოველების გვამის შენობა, საჭმლის მონელება, სისხლის მოძრაობა და სუნთქვა, ამასთანავე კლასებში ჰქონდათ მცენარები, რომლებზედაც შეგირდები სწავლობდნენ მცენარის ორგანოებს: მირებს, ტოტებს, ფოთლებს და ყვავილებს. სპეციალური საგნებიდამ იმათ შეიტყეს თავი და თავი ცნობები ნიადაგებზე და ნაყოფიერი ხილის გამრავლებაზე. ამათ გარდა შეგირდები სწავლობდნენ, გა-

ბიბლიოთეკა ... ДУХОВНОЙ АКАДЕМИИ

F13 115

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ოგრაფიას (დედამიწის აღწერას) და სუფთად წერას. ამ 1872 წელში ამ შკოლაში გაგრძელდება სწავლა იმ პროგრამით, რომელიც დამტკიცებულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან, წინანდებურად აქ ისევ ორი კლასი იქნება და შეგირდებიც ორად გაიყოფიან და ყველა შეგირდი თითო კლასში ორი წელიწადი უნდა დარჩეს. ამ შკოლის ოთხ კლასად გაყოფა უსარგებლოდ დაინახეს. გაზაფხულზედ, შემოდგომაზედ და ზამთარში სწავლა დღეში სამი საათი იყო ხოლმე, ზაფხულში კი, მაისიდამ სეკტემბრამდის, თითო საათი იყო. შეგირდები განსაკუთრებით უფრო სწავლობდნენ ხოლმე სადილს უკან და სადამოზედ,—ხოლო დილა კი გადადებული იყო იმისათვის, რომ შეგირდებისთვის მეურნეობა პრაკტიკულად (საქმით) ესწავლებინათ. როდესაც ავდრები გარეთ მუშაობას ნებას არ აძლევდნენ, მაშინ შეგირდები სახლში სწავლობდნენ ხოლმე, ან კიდევ, თუ არაფერი არ დააბრკოლებდა, სარაიებში მუშაობდნენ მაგ. ლეწამდნენ ჭირნახულს და სხვ.

მომატებულ ნაწილად მინდვრებში თითონ შეგირდები მუშაობდნენ მაგ. ხნამდნენ, ფარცხავდნენ, მკიდნენ ყანებს და სთიბავდნენ ბალახს. ხოლო უმძიმესი მუშაობა, მაგ. ბარვა, მიწის ამოთხრა ხეების ძირში, აგრეთვე მუშაობის ასამუშებლად იჭერდნენ ხოლმე, დღიურ მუშებს. მუდამი მუშები ჰმწყსიდნენ საქონელს, სწმენდავდნენ ბოსლებს, აცხობდნენ პურს, იგზავნებოდნენ ქალაქში და სხვა ადგილებში.

მეურნეობის გარდა შეგირდები სწავლობდნენ ხელოსნობას, წიგნების შეკვრას, მეწაღეობას და სხ. უფრო ხალისიანად სწავლობდნენ წიგნების ყდების კეთებას, ასე რომ მომეტებული ნაწილი თავიანთ წიგნების თითონვე შეკრეს.

ახლა ჩვენ გავიხილავთ ამ შკოლის მუშაობას ცალ-ცალკე და ვიტყვით რამდენსამე აზრს იმის გაუმჯობესობის საჭიროებაზედ.

შკოლა ივნისამდის უ. ფიველის ხელში იმყოფებოდა, იმის წასვლის შემდეგ, ჩააბარეს აგრონომს გეემსკის.

შემოდგომაზე 1871 წ. ლოჭინის სახემწიფო მიწებზე დათესეს პური ათი დესიატინა. ამ წლისთვის კიდევ, გაზაფხულზე სახეში აქვსთ დათესონ ქერი ხუთი დესიატინა. წარსულ წელს სახნავ მიწებს აკეთებდნენ სხვა და სხვა კუთხეებში აქა-იქ, სადაც მოხვდებოდათ. ამ წლიდამ კარგი იქნებოდა, რომ ლოჭინის სამოცდა თერთმეტი დღის მიწა გაყოფილიყო სამ ნაწილად და თითო ნაწილში ოცდა სამი დესიატინა ყოფილიყო: ყველა ამ ნაწილთაგანს პირველს წელიწადს პატივი უნდა დაეყარონ და დაასვენონ, მეორე წელში კი ანეულებად უნდა დახნან და დათესონ პური თვრამეტი დესიატინა და ქერი ხუთი დესიატინა). მესამე წელიწადს ყველა ლოჭინის მიწის ნაწილთაგანი უნდა დაასვენონ.

ეს ჯერ-ჯერობითი თესვა მალიან კარგია იმისთვის, რომ მიწა დონიერდება და უფრო კარგად მოიყვანს მოსავალს. თუ მიწა ყოველ წლივ იხვნება და ითესება, მაშინ იმას სინოყიერე ელევა, უმარდვო ხდება და ამისათვის უხვად მორწყვას თხოულობს. მორწყვად აქ მხოლოდ შემოდგომის ალოებს მოჰყავთ პური, რისგამოც მხოლოდ იგინი ითესებიან ხოლმე.

განზრახვა აქვსთ გამოსაცდელ მინდორში მცენარეების დათესვისა, რომ შკოლის შეგირდებმა იმათი დარგვა და მოვლა ისწავლონ. ძალიან სასურველი იქნება, რომ სწავლონ მოსწავლეებს რიგ-რიგათ მცენარების დათესვა, რომლის გავრცელება ძალიან სასარგებლო იქნება ჩვენ მხარეში. ამისათვის საჭირო იქნება, რომ მოვიპოვოთ სხვა და სხვა იარაღ[illegible] რომლებიც ძალიან საჭირონი არიან კვალ-კვალად მცენარების დათესვის დროს. ა[illegible]ნაირი დონისძიებები ხარჯს ძალიან ამცირებენ. აგრეთვე საჭიროა მოვიპოვოთ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღები და იმათ შორის ინგლისური გუთანიც, რომელიც ძალიან ღრმათა ხნავს მიწას.

რადგანაც ეს იარაღები მუშაობის დროს იმტვრევიან და მუშაობა შეჩერდება ხოლმე, ამისათვის საჭიროა გაიმართოს იმავ შკოლაში სახელოსნოები. სადურგლო, სამჭედლო და სხვ. რომლებიც დიდ სარგებლობას მოუტანენ მოსწავლეებს, რადგანაც თავის-უფალ დროს მოახმარებენ ამ ხელოსნობების სწავლას.

შკოლას გარშამო არტყია 120 დესიატინამდინ საძოვარი, რომლებიც უფრო მიელ ნაყოფიერდებიან მაშინ, როდესაც იგინი უხვად მოირწყვიან და საქონელს უბრალოდ არ წაახდენინებენ. შკოლის ახლო ორი სათივე არის; რადგანაც ამ სათივეებში ახლა ცუდი ეკლიანი თივა მოდის, ამისათვის შემდეგში საჭიროა, რომ თივის თვისება გავაუმჯობესოთ, თუ გვსურს რომ კარგი თივა მოვიდეს. წინათვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ, თუ იმ რუებს გავსწმენდავთ, რომლებიც ამ სათივეებში გამოდიან, მაშინ წყალი აღარ დაუგუბდება, და აღარც მთიბავები ეწვალებიან თიბვის დროს და იმის გამო ბალახის თვისებაც გამოიცვლება.

საბოსტნე ალაგი, რომლისთვისაც სამი მეოთხედი (3/4) დესიატინა არის აღებული, ცუდ ჩაგარდნილ ალაგას, ქარი არა ხვდება და ძნელი მოსარწყავი არის. ამისათვის, ბრძანებისა მებრ სახელმწიფო მამულების გამგეობის უფროსისა, ის გაანაყოფიერეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ დათესეს ნუშის (ორ თვეთამდინ) კურკის თესლები, ჭერამი, ატამი, ქლიავი (ორ თვეთამდინ), ვაშლები, მსხლები, მარწყვი და კომში (ნახევარ გირვანქამდინ). აგრეთვე დასთესეს ყურძნის თესლები, იმის გამოსაცდელად თუ რამდენათ იცვლება ვაზთ მყოფობისაგან ამ გვარად ვაზის გაშენება ყურძენს, ანუ როგორი ადი ყურძენი მოვა, როდესაც ის თესლებისაგან გაშენდება. ამათ გარდა სხვა მცენარეებიც ზოგი დაითესა და ზოგიც კიდევ აზაფხულამდინ დაითესება, მაგ. ლობიოს ხე (Акація) მუხა, იფშატი, ღვია ალვის ხე და სხ.

გამოწერილია ნუხიდგან ორი გირვანქა თუთის თესლი და კადნერისაგან რიგიდან ერთი გირვანქა თესლი ვაშლებისა და მსხლებისა, რომლებიც ამ წელიწადში ვერ მომზადდნენ სამყოფად. საჭიროდ ვრაცხთ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა იმაზე, რომ მადან ბევრის დათესილი სხვა-და-სხვა მცენარეები, კურკები და სხვათა შორის ნუშისაც. მიზანი ამ ნათესებისა არის ისა, რომ მომავლობულად გამრავლდეს ეს მცენარეები, რომლებიც ჩვენში კარგ სარგებლობას მოიტანენ. გამხმარი ნუში და კურკიანი ნაყოფები მოაქვთ ჩვენში სპარსეთიდგან და მალიან ძვირ ფასად იყიდება, მაშინ როდესაც რო ეს მცენარები მშვენიერად იხეირებენ ჩვენ მხარეში და კარგ მოსავალსაც მისცემენ პატრონს.

აგრეთვე გვინდა ყიდვით მოვიპოვოთ ათასამდინ სხვა და სხვა თესლები გარეული მცენარეებისა თამლებისა, მსხლებისა და მუხის ხეებისა, რომ ამ წელშივე ლოჭინის შკოლის მოწაფეებმა შეიძლონ იმათი გადარგვა, გასხლა მყნობა და ერთი სიტყვით მათი მოვლა და ყურის გდება

სხელმწიფო მამულების განმგეობის უფროსს ბრძანებით სავენახეთ ამორჩეულია ახლოს ნაიფუმრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე, რომელიც დაცულია ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრივ, ქარისგან. ადგილი მალიან სუქანი და ნაყოფის მომცემელია. ეს სავენახე ადგილი დაბარეს და რაც რომ ფესვები იპოვებოდა ბუჩქებისა სულ ერთიანად ამოყარეს. ახლა აკეთებენ ამ გაწმენდილ ალაგზე დაქანილ გზებს (*террасы*) და რუებს წყლის გასაყვანად; უწინდელი ვენახიდგან გადმოაქვთ ვაზის შტოები და აქ რგავენ.

ბოსტნისათვის არის ამორჩეული ორი ახალი ადგილი, რომლებიც დაცულებია ქარისაგან. ეს საბოსტნე მალიან ნაყოფის მომცემელია და ადვილათაც მოირწყვის. ეს ორი საბოსტნე ადგილი მალიან ღრმათ დაბარეს და კარგად გასწმინდეს აქ მდგომი მცენარეების ფესვებისაგან. საბოსტნე ალაგის ერთი ნაწილი კინადამ წყლის შეგუბებამ გააფუჭა, ამისთვის განვიზრახეთ იმ ადგილზე ნაცრის მოყრა. განზრახვა გვაქვს, რომ ბოსტანში სხვა და სხვა გვარი ნივთებით მიწის გასუქება გამოვცადოთ: ნეხვითა, დანაყილი ძვლებითა და სხ. და სხ.

რომ ლოჭინის შკოლის მოსწავლეთ უფრო კარგად გაიცნონ ბაღეულობა, ამისთვის კეთდებიან ბახჩები იმისთანა ადგილს, რომლებიც ჩრდილოეთ-დასავლეთის ქარისაგან დაფარულებია და სამხრეთისაკენ არის მიქცეული. ამ ბახჩებში დაითესება კიტრი, ნესვი, მწვანილეულობა, გადასარგავი კომბოსტო და სხ.

ქალაქ ტფილისში მალიან იყიდება ერბო და საზოგადოდ ყველა ის ნაყოფები, რომლებიც რძიდგან მზადდება და თითონ რძეცა, ამისთვის სასარგებლო იქნებოდა, პირუტყვების ბლომად გაშენება უნდა გამრავლდეს ძროხების რიცხვი, რომლებიც ბევრს იწველიან, და უჯერო ჯიშის ძროხები სულ არ იყოლიონ; ბევრი მწველელი პირუტყვების გასამრავლებლათ უნდა იყოლიოს კარგი ჯიშის ბუღა, რომლის მოშოება არ არის ძნელი, თუ კაცი თადარიგიანად შეუდგება საქმეს. ბარონ ა. კუჩენბარმა აგვითქვა ბუღა და შემოდგომაზე მოიყვანს აქ. ეს ბუღა ჯერ უმაწვილიაო და ძალიან კარგი ჯიშისაც არისო. უფრო სარფა იქნება, რომ სხვა ნაირი ღონისძიება ვახმაროთ წველისთვის: ხბოს როდესაც მიუშვებთ, კარგა ბლომად გამოსწოვს რძეს და დიდი ხანიც არ ანებებს დედას თავს ე. ი. არ უშვებს; ამისთვის უნდა ძროხები დავაჩვიოთ ისე, რომ ხბოს მიუშვებლად იწველონ; რომ ხბო არ დაიგვალოს ამისათვის ორ-სამ თვემდინ ცალკე უნდა ასვან ძროხის რძე და შემდეგ ნელ-ნელა შეაჩვიონ ბალახის ძოვნას.

ერბოს ამოსაღებათ ხმარობენ ხის სადღვებლებს, რომლებიც შუაზე გახვრეტილებია და ამოჭრილი ხის სარქველები აიფარიათ. ამ ნაირის სადღვებლით ერბოს ამოყვანა ახირებულად ძნელია: გვიან მოდის ერბო, მალე იდალება მღდვებული. ამისათვის ძალიან კარგი იქნებოდა, რომ იმისთანა სადღვებელს ხმარობდნენ, რომელსაც ცოტა დრო და ცოტა ძალა მოუნდება.

**აბრეშუმის შემუშავება.** ამ წელიწადში მოსწავლეებმა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრის უფ. ტერგულოვის მონაწილეობით და შეწევნით ისწავლეს მოვლა აბრეშუმის ჭიებისა. აკლიათ ეხლა იმათ მხოლოდ გაცნობა აბრეშუმის ამოხვევისა, რომლისათვისაც საჭიროა მოპოვება კარგის აბრეშუმის სახვევი მაშინისა. მაშინ მომზადდება ბლომად აბრეშუმი, როდესაც აქ, ლოჭინში, გაიმართება თუთის პლანტაციები (გაშენება ბლომად თუთის ხეებისა).

**მეფუტკრობა.** ფუტკრის გაშენება დაიწყო მასუკან, რაც მოვიპოვეთ თხუთმეტი სკა, ამათგან ცხრაში ფუტკარია. ფუტკრე-

ბის საზდოთ საჭიროა დაითესოს სხვა და სხვა გვარი ტკბილი, თაფლის-მქონე მცენარეები. უეჭველია, რომ ხილის ხეების და სხვა მცენარეების გაშენების შემდეგ, ფუტკრები უფრო უხვად და კარგ თაფლს გააკეთებენ, თუ, როგორც ვფიქრობთ, გაკეთდა ლოჯინის შკოლაში სადურგლო, მაშინ თითონ მოწაფეები ისწავლიან და გააკეთებენ კარგ სკებს.

ტყეების პლანტაციები. ხეები ტყის პლანტაციებში მინამ არშინ ნახევარზე ამოვიდოდნენ უნდა ამ წელში გასხლან შეკვეცონ და გასწმინდონ; გარდა ამისა უნდა ეს ხეები გაამრავლონ ცარიელ ადგილებზე გადმორგვით.

აქაურ საფრინველოში ჰყავთ მოშენე ქათმები, ბატები და ინდოურები, ამათ მოუმატეს გილანის ქათმებიც, რომლებიც გამოგზავნა უფ. ნ. ი. ხიტროვსკიმ. აქ არიან აგრეთვე ეგიპტური მტრედები, ფარშავანგები და სხვა და სხვა გვარის ფრინველები.

წინადადებები ახალს შენობაებზედ. საჭიროა აშენდეს და გაახლდეს შემდეგი სახლები: 1) საყინულე. უამისოთ ძნელია ხორცის, რძის და სხვა ნაყოფების შენახვა, რომლებიც სიცხისაგან ფუჭდებიან და საჭმელად აღარ ვარგანან. საყინულეს, თუ მიეცემა სიგრძეთ სამი საჟენი და სიგანეთ ორ საჟენ ნახევარი, მოუნდება ორასი მანეთი.

2) მაშინების შესანახი სახლი ძალიან ცუდია. არშინ ნახევარზე არის ჩაშვებული მიწაში, კარები აქვს ვიწრო და ამასთანავე აგურის კიბე, ამიტომ ძნელია ამ სახლიდგან დიდრონი მაშინების გამოტანა. რასაკვირველია საჭიროა ამ მაშინის შესანახავის კარებების და კიბის გაკეთება.

3) უნდა აშენდეს აგრეთვე საკუჭნაო ნაყოფების შესანახავად. პურის მარცვლების ფქვილისა და სხ. საკუჭნაოს მოუნდება სულ ფული სამას ორმოც და ათი მანეთი, თუ სიგძეს მისცემენ სამ საჟენ ნახევარ, და სიგანეს სამ საჟენს, ააშენებენ ნამტვრევი ქვისაგან და ბანსაც კარგს გაუკეთებენ.

4) საჭიროა აშენდეს იმისთანა ოთახი, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ ისწავლონ დურგლობა, ხუროობა, მჭედლობა, წიგნის ყდების გადაკვრა და სხვა ხელობაები. სახელოსნო სახლი, თუ სიგძე ექნება სამ არშინ ნახევარი, სიგანე სამი საჟენი, თუ ქვით ააშენებენ და კრამიტს დახურვენ, დაჯდება სულ სამას ორმოც და ათი მანეთი.

ზემო ხსენებული შენობები: საკუჭნაო, და სახელოსნო უფრო კარგი იქნება აშენდეს გარდიგარდმო იმ ეზოში, რომელიც არის ნაფუზარში. მაშინ ის ეზო ორად გაიყოფა, ამ ორი ნახევრისაგან ერთი ნახევარი ეზოთ უნდა გაკეთდეს საყვავილოთ; ეს საყვავილო უნდა გაიყოს მეორე ეზოს ნახევრიდგან ღობით, რომელიც დაიფარავს შინაური ფრინველებისაგან. საყვავილოსთვის უმჯობესი იქნება ამოირჩიოს თვალისთვის კარგი სანახავი ხეები და ბუჩქები, რომლებიც ზაფხულის სიცხეს უძლებენ, აგრეთვე მრავალ წლოვანი ყვავილოვანი მცენარეები, ვარდი, ია და სხვა ერთ წლოვანი მცენარეები კი უნდა გაშენდეს ცოტა.

საჭირო იქნება ეხლავ დაუყონებლივ, შემოარტყან ეკლის ღობე ბოსტნებს, ვენახს და აგრეთვე ველს და სხვა ადგილებს, რომლებიც ზედ აკრავს ნაფუზარს; უამისოთ ძალიან ძნელია ამათი დაცვა პირუტყვებისაგან და შინაური ფრინველებისაგან. ბოსტნები, ვენახი და სხვა სამუშაო ადგილები უნდა გაუყონ მოსწავლეებს, რომ თვითეულ მათგანს ჰქონდეს თავისთვის ადგილი, რომელსაც ის ამუშავებს და გააკეთებს. ამ გვარი წესდებულობით მოსწავლეებს დიდი მუშაობის ხალისი და სურვილი მიეცემათ და არ დაუწყებენ მიზეზებს ძებნას, რომ როგორმე თავი დააძვრინონ მუშაობას. ეს ღონისძიება გამოვსცადეთ და კარგი შედეგები ჰქონდათ: მოსწავლეები მიდიოდნენ სამუშაოთ ყოვლის უარის უთქმელად და ძალის დაუტანებლად და მუდამ იჩენდნენ დიდ ხალისს მუშაობაში, მხოლოდხელთ-მძღვანელობაში კი საჭიროებდნენ.

მრჩება სათქმელად მხოლოდ ის, რომ ინჟინერ ნემელის გამოკვლევებმა დაგვანახვეს, რომ არხი, რომელსაც მიჰყავს წყალი შკოლის გარშემო დარგულ ხეებთან, ორ ალაგას არის წამხდარი, საიდგანაც წყალი სწორეთ არ ჩამოდის, რომლის გამოც შკოლის შენობის ახლო ძალიან გუბდება წყალი მიწაში. უფ. ნემელი ჰპოვებს შესაძლებლად ამ არხის გაკეთებას, რომელსაც მოუნდება თხუთმეტი თუმანი. უფ. ნემელს ჰქონდა კიდევ მინდობილი ეპოვნა ღონისძიება რუების გასაწმენდად, რომლებიც არიან გაუვანილები შკოლის ახლო; ეს რუებიც წახდენილებია და არ გაჰყავთ წყალი, რომელსაც იჭერს ჩალა. უფ. ნემელი ფიქრობს, რომ ამ რუის გაწმენდა შეიძლება მაშინ, როდესაც გაითხრება არხი ღელის სიღრმეზე. სიგძე ამ არხისა უნდა იოს სამასი საჟენი, სიგანე ერთი საჟენი და სიღრმე სამი მეოთხედი არშინისა. უფ. ნემელის გამოანგარიშებით ამ შრომას მოუნდება ოცდათვრამეტი თუმანი.

---

გადამდები ყვავილი,

ინგლისის გამოჩინებულ ქალაქში ლონდონში გაჩენილა გადამდები ყვავილი. რაღა თქმა უნდა, რომ კეთილს არ დააყრის ხალხს ეს საშინელი სენი. ძალიან ხოცავს ხალხსაო. ამბობენ, რომ ამისთანა საზარელი მავნე-

ბელი ყვავილი ამ ჩვენ ბედნიერ საუკუნეში ჯერ არ ყოფილა. მით უფრო გასაოცარია ეს საშინელი შემთხვევა, რომ მსწავლულებმა ყველა გადამდებ სატკივრებზე ყვავილის თვისება უფრო კარგად გაიგეს, უფრო დაიმორჩილეს და იპოვეს ძალიან კარგი ღონისძიება, რომლის შემწეობით ამ გადამდებ სატკივარს ადვილათ ხდილობს კაცი. ყველამ კარგად იცის, რომ ვისაც ერთხელ სჭირებია ყვავილი, მასუკან იმას მეორეთ აღარ შეხვდება და თუ შეხვდება ძალიან ადვილათ იხდის. იმ ქალაქში, ან სოფელში, სადაც ბავშვებს უცრიან, აღარ ჩნდება ეს სატკივარი. მე თითონ ბევრი სოფლები ვიცი სადაც ყვავილი არ შეჰკარებია. რასაკვირველია, ეს იმიტომ ხდება, რომ იმ სოფლებში პატრონებს თავიანთი შვილები აუცრევინებიათ. ამ აცრილ ყვავილს ყოველ მის გვამში დაუვლია, გამოსჩენია და თავისი კვალი დაუდვია. ამ ნაირებს აღარ შეხვდებათ ყვავილი. იმ საზოგადოებაში—გავიმეორებ კიდევ—სადაც ყვავილი ყველას აუცრიათ, თუ გამოაჩნდება ვისმეს ეს სატკივარი, მაშინ ძალა აღარ ექნება; სხვის გვამზე ვეღარ იმოქმედებს და იმ ერთ ავათმყოფზე გადივლის შიში საზოგადოებისა და არც რა ფერი იმას დაუშავდება, თუ წინათ აცრილი ყოფილა. აი, მკითხველო, რამოდენად შველის აცრა ხალხს, მის დღეგრძელობას, მის მშვიდობიანად ცხოვრებას და სხ. თუ რამოდენა სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას აცრამ, ჩვენ ცხადად დავინახამთ ეხლანდელი საუკუნის შედარებით წარსულ საუკუნესთან. წარსულ საუკუნეში როდესაც აცრა სიზმრათაც არა ვის უნახავს, მხოლოდ ერთ ევროპაში მოკვდა ყვავილისაგან ორმოცდა ხუთი მილიონი. ეს მარტო ევროპაში; სხვა მხარეებიც, რომ მივიღოთ მხედველობაში, მაგალითებრ, აზია, რომლის ერთ ნაწილს ჩვენი საქართველოც შეადგენს, და სადაც უფრო ძალიან უფლებდა ეს სენი და დაუნდობლად, როგორც კარგი მცელავი, სცელამდა და აწყობდა ხალხს დასტა-დასტად, მაშინ ყურებში თითს დაიცობს კაცი განცვიფრების გამო. ეხლაკი, როდესაც შემოიღეს ეს კურთხეული აცრა ისეთ ნაირად შემცირდა ხალხის ყვავილისაგნ ჟლეტა, რომ კაცს, რასაკვირველია განათლებულს, განცვიფრების გამო ერთი სამჯერ მაინც გააქნევინებს თავს. როგორ თავ-გასაქნევი არ არის, რომ წარსულ საუკუნეში ორმოცდა ხუთი მილიონი მოკვდა და ეხლაკი ევროპაში სულ ორი მილიონი (ნაკლები და არა მეტი) მოკვდა ყვავილისაგან. შეიძლება აქ ბევრი მაგალითები მოვიყვანოთ იმის დასამტკიცებლად, რომ უწინ, მანამ აცრას არ იცოდნენ, ძალიან გავრცელებული ყოფილა ეს სენი; მაგრამ რაღა მაგალითები გვინდა. მგონი, რომ ყველას გაეგონოს ჩვენი მომსწრე მოხუცებულებისაგან, რომ უწინ ძალიან იყო ეს სენი და დაუნდობლად ხოცდა ხალხსა. მე თითონ ბევრ მამსწრე პირებთან შემხვედრია ლაპარაკი; ლაპარაკში მისულა საქმე იქნამდისინ, რომ ძველ დროებას შეჰხებია: მაშინდელ ცხოვრებას, ხალხის ავათმყოფობას და სხ. მოხუცებულს დაუწყვია და ისეთ ნაირად მწუხარებით და ცხადად გაუსხნია მაშინდელი ხალხის წვალება ამ სენისაგან, რომ ცრემლებს მოგვრიდა კაცს. რაც აცრა შემოვიდა ამ ჩვენ მხარეშიაც აბა ვინ არის მომსწრე რომ ყვავილს დაეხოცნოს ხალხი ათასობით. ეხლა, მგონი, ყველასთვის ცხადია, რომ, აცრას დიდი სარგებლობა მოაქვს კაცობრიობისთვის; მაშასადამე თვითეული მეოჯახე, ცოლ-შვილის პატრონი, უნდა გულმოდგინეთ ცდილობდეს, რომ თავისი შვილები აასრევინოს, თუ უნდა, რომ შემდეგში მწუხარება არ იხილოს და თავისი სიცოცხლეში დასტკბეს და გაძღეს შვილების ცქერით.

(შემდეგი იქნება)

---

## ახალი გამოცდილი გველის ნაკბენის წამალი.

გამოცდილი დოქტორები (ექიმები) ურჩევენ ხალხს, რომ თუ უნდა კაცს მალე მოირჩინოს გველისაგან დაშხამული ადგილი, ტანისამოსი იხმარო იფნის ნაცრიდგან გაკეთებულ ნაცარ ტუტში გარეცხილი და ან დანამოს იფნის წვენით (გამონადუღით,) ესე იგი უნდა-ქვაბში იქნება, თუ ქოთანში ჩაყაროს იფნის ფესვის ნაგლეჯები, ფოთლები, ნათალი და ქერქი და კარგად გამოადუღოს. ხელები და ერთი ხიტვით ყველა ადგილი ჩვენის გვამისა, რომელსაც ტანთ-საცმელი არა ჰფარავს უნდა ამავე იფნის წვენით დაიბანონ. ისეთ ნაირად მოქმედობს გველებზედ ეს ხე, რომ მის ახლო ყოფნით არამც თუ ჰკარგამენ ყოველს თვის ძალას, არამედ, თუ როგორმე ამ ხეს შეეხო, მაშინვე მოკვდება. იფნის წვენი (გამონადუღი), რომ დაასხა თავზედ გველს, საცოდავათ დაიწყობს ხლაკვნას ერთსა და იმავე ადგილას, აღებს პირს საიდგანაც ქაფისავით რაღაც მოყვითანო ნერწყვი გამოსდის და ხუთი წამის განმავლობაში, შემდგომ გამონადუღის დასხმისა, კვდება. გველმა, რომ უკბინოს ვისმეს, მაშინვე უნდა ნაკბენი ალაგი დაასველოს იფნის წვენით, ადოს იფნის წვენში ამოსველებული რამე მჩვარი. უნდა ამ ნაირად იხმაროს რამდენიმე ხანი და ნაკბენი ადგილი მორჩება. ეს გამოცდილებით არის დამტკიცებული. ამის მთქმელს, რომ არ გამოეცადნა არ დასწერდა ამას ხალხის მოსატყუებლად. წამალი, რომელიც აქ არის მოხსენებული, ძალიან ადვილი საშოვარია: თითქმის ყველას უდგია ვენახში იფნის ხე. უნდა წინდაწინვე ჰქონდეს მომზადებული ეს იფნის წვენი, რომ ვინიცობაა უკბინოს ვისმეს, მალე მიაშველოთ. (ნახე *Всем. Илюст.* № 122 за 1870 г. ст 291.

## სავაჭრო ცნობები რუსეთიდგან

ვაჭრობა განიყოფა რამდენსამე ნაწილად. არის, მაგ. ნარდათ (ერთიანათ გავაჭრება), წვრილმანი და ცალ-ცალკე ნივთებით ვაჭრობა. ერთიან ვაჭრობას ეძახიან იმას, როდესაც საქონელი, მაგ. ღვინო, არაყი, ფარჩეულობა, ნარდათ,-ერთიანათ გაიყიდება. წვრილ-წვრილ ვაჭრობას იმას ეძახიან, როდესაც საქონელი იყიდება დუქნებში, მაღაზიებში და სხვა ამ გვარ ადგილებში წვრილ-წვრილად და არა ერთიანად. საწვრილმანოს ეძახიან იმისთანა ვაჭრობას, როდესაც განაწილებით ისყიდება საქონელი დანიშნული ადგილებიდგან.

სავაჭრო საქმეებს ეკუთვნიან აგრეთვე: შენება, დაკერება რისამე, შენახვა და დაქირავება სავაჭრო გემებისა, პარახოდებისა და სხვ. ამ გვარებისა. ვაჭრობა წარმოობს ანუ უბაჟოდ, ესე იგი შემოტან-გატანაში ხარჯს არ მისცემენ,—ანუ მისცემენ გარდასახადს ბილეთებში და მოწმობეებში.

უგარდასახადო (უბაჟო) ვაჭრობეებს ეკუთვნიან:

1) ვაჭრობა პურითა, სელითა და სხვა და სხვა გვარი მიწის ნაყოფებითა; პირუტყვებითა, ფრინველებითა, მარილითა, ყოველი გვარი ცხოვრებისთვის გამოსადეგი ნივთებითა, გარდა იმ ნივთებისა, რომლებსაც ბაჟი ადევთ, მაგ. მატყლისა, გაჯრისა, ბალნისა, ბუმბულისა, გაუკეთებელი ტყავებისა, გაუთლელი ხე-ტყისა, შეშისა და სხვა ტყის მცენარეებისა. შეიძლებავაჭრობა ყველა გასახურებელი მასალითა; აგრეთვე თიხითა, აგურითა, კირითა, ქვითა, და სხვ ასაშენებელი მასალებითა. ვაჭარი ამ ზემოხსენებულ ნივთებს ერთად შეაქუჩებენ, ესე იგი, პურს, პირუტყვებს, ხე-ტყეს, - გაალებს დუქანს. მაგრამ ვერ ივაჭრებს ამას ზემო აღრიცხული ნივთებითა, თუ არა აქვს აღებული მოწმობა და ბილეთი მთავრობისაგან. ესეა ქალაქ ადგილებში. მაგრამ მიწების პატრონებს თავის მამულებში და სოფლის მცხოვრებლებს შეუძლიან გამართონ ვაჭრობა ისეთი, როგორიც ქალაქ ადგილებშია, უბილეთოდ, (უმოწმობოდ).

2) უბაჟო ვაჭრობას ეკუთვნიან კიდევ: წაღებ-წამოღებითი ვაჭრობა საჭმელ-სასმელებისა, ხილისა, ძველი გლეხ-კაცების ტანისამოსისა და სხვა და სხვა ამ გვარი საგნებისა, რომლებიც დააქვთ ქუჩა-ქუჩა ქალაქებში და იმ ადგილებში, ან სოფლებში, რომლებიც ქალაქს მახლობლად არიან.

3) ვაჭრობა ყველა ნაირ საქონლითა იარმუკებში და იმისთანა ადგილებში, სადაც რჯულით დანიშნულ დრომდინ უნდა იყიდოს საქონელი.

4) აშენება, დაკერება რისამე, მაგალითებრ. გზისა, გემებისა, შენახვა მდინარეების, ტბების, ზღვის დანავების (ორთქლის გემების გარდა).

5) მომზადება ქარხანებისთვის მაშინებისა, სახვნელ-სათესო იარაღებისა, სხვა და სხვა ნაირი სადებავი ნივთებისა, და გაყიდვა ყველა ამეებისა თავის საკუთარ ზავოდში, ან დუქანში. არ ილებენ კიდევ ხარჯს არც წყლის, არც ქარის წისქვილებზედ და არც იმისთანა წისქვილებზედ, რომლებსაც ორთქლის მაშინებით ატრიალებენ, მაშინ, როდესაც წისქვილის პატრონს არ ეყოლება თექვსმეტ მუშაზე მეტი და როდესაც წისქვილები არიან გაშენებულები საკუთარ მამულში ქალაქ გარეთ. ყველა წოდების პირებს, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქებში, ნება აქვთ ვაჭრობისა ხარჯის უძლეველად, ნება აქვთ სახლში აკეთონ ხელ საქმე და ეს ხელით გაკეთებული ნივთები ჰყიდონ, მაგრამ თუ გამოიტანებენ დუქნებიდგან და იმ ადგილებიდგან, რომლებიც დანიშნულები არიან საკუთრად ვაჭრობისთვის, მაშინ არა აქვსთ ნება გაყიდვისა და თუ გაყიდიან, ხარჯს წაართმევენ

## ვაჭრობა, რომელსაც ხარჯი ადევს.

თუ ვისმეს უნდა დაიწყოს სხვა გვარი სავაჭრო და აღებ-მიცემობითი მოქმედებეები, მაშინ, დასამტკიცებელად იმისა, რომ ვაჭარს ნება აქვს ვაჭრობისა, საჭიროა ხაზინაში იყიდოს ბილეთი იმ ფასათ, რომელსაც ეხლა ქვემოთ მოვიხსენებთ. ვისაც სურს, რომ სხვაგნიდგან მოტანილი და ქარხნებიდგან გამოსული საქონლით ქალაქ გარეთ ივაჭროს, მაგ. სოფლებში, იმან წაღებ-წამოღებითი ვაჭრობის მოწმობა უნდა იყიდოს. ვისაც სურს დუქნის გაკეთება და წვრილმანი სავაჭროს ყიდვა, იმან უნდა იყიდოს მოწმობა წვრილმანი სავაჭროსი და ბილეთი იქონიოს დუქანში. თუ დუქანი ორი ექნება, ბილეთიც ორი უნდა იყიდოს. ვისაც აქვს მოწმობა წვრილმანი ვაჭრობისა, იმას შეუძლიან: 1) გააკეთოს დუქანი მახლობლად სასტუმრო სახლებისა და ჰყიდოს სურსათი და სხვა ამ გვარი საქონელი; 2) შეუძლიან იქონიოს საწვრილმანო დუქნები სახლებში, სასტუმროს გარეთ; 3) შეუძლიან იქონიოს აბანოები, ტრაკტირები; იქონიოს საფაბრიკო (ქარხანა) ანუ სახელოსნო სახლები და მუშები მათში ათიდგან თექვსმეტ კაცამდე. (თუ მუშები იქნებიან ხუთიდგან ცხრა კაცამდე, მაშინ საკმაო იქონიოს მხოლოდ ერთი მოწმობა საწვრილმანო ვაჭრობისა, ბილეთი კი საჭირო არ არის; თუ კიდევ მუშები ერთიდგან ოთხ კაცამდე არიან, მაშინ მოწმობაში აძლევენ მხოლოდ ნახევარ ფასს.) დუქნებს, რომლებსაც აქვთ ვაჭრობის მოწმობა, აგრეთვე საწვრილმანო დუქნებსაც, არ უნდა ჰქონდეთ, ანუ ეჭიროთ ერთ ოთახზედ მეტი სავაჭროდ, მაგრამ შეიძლება იმათ, ესე იგი, დუქნებს, ჰქონდეთ საკუჰნაო, სარდაფი ანუ საყინულე და საცხოვრებელი ოთახი თითოს დუქნის პატრონისა. საცხოვრებელ ოთახში საქონლის ყიდვა აკრძალულია.

წვრილი გლეხური აღებ-მიცემობის დასაწყობად უნდა იქონიოს საკუთარი მოწმობა, რომელიც ღირს ორი მანეთი და ათი შაური. სოფლის მცხოვრებლები, თუ სხვა და სხვა ხელოსნობას მისდევენ და მუშებიც ჰყავთ დაჭერილი ქირით, ვალდებულები არიან იქონიონ ზემოხსენებული მოწმობა.

ნამდვილი ვაჭრული აღებ-მიცემობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ექნება ვაჭარს საგილდიო მოწმობა (გილდია არის ხარისხი ვაჭართა და მოქალაქეთა). პირველი გილდის (ხარისხის) ვაჭარს მოწმობისამებრ აქვს ნება ერთიანად,(ნარდათ) ვაჭრობისა, რო-

…რც სხვა მხრის საქონლისა, ისე კიდევ საკუთარი მამულისა; ან თითონ ივაჭრებს, ან კიდევ პრიკაშჩიკი; აქვს ნება იქონიოს ქალაქებში და სოფლებში კანტორები, დასაწყობი რისამე ადგილები — ამბრები, რამდენიც უნდა; აქვს ნება ყველა იმ მაზრის ქალაქებში და სოფლებში, სადაც აილო მოწმობა, გამართოს ცალ-ცალკე ნივთებით ვაჭრობა; შეუძლიან იქონიოს ზემოხსენებულ ადგილებში ქარხანები, ზავოდები; აქვს ნება ფოდრათების აღებისა ყველგან, მოზიდვა ყველა ნაირი ნივთებისა გარდაკვეთილის ფასით და ვადით აღება რისამე.

მეორე ხარისხის ვაჭარს აქვს ნება ვაჭრობისა იმ მაზრაში, რომლის სახელზედაც აქვს აღებული მოწმობა; აქვს ნება გააკეთოს ქარხანები, ზავოდები და სახელოსნოები; ნება აქვს ფოდრათების აღებისა, ყველა ნაირი ნივთებისა გადაკვეთილი ფასით და ვადით აღება რისამე, მაგრამ თხუთმეტ ათას მანეთზე ზევით კი აღარ შეუძლიან აიღეს.

### ხარჯ-დადებული ვაჭრობის და აღებ-მიცემობის თავისუფლად წარმოობაზე.

რუსეთში არის სულ ხუთი განყოფილების ვაჭარი ხალხი, რომელიც აძლევს ბაჟს თავისუფლად ვაჭრობის და აღებ-მიცემობის წარმოობისთვის. ესენი იყოფებიან, როგორც ვსთქვით, ხარისხებათ — გილდებათ — შეძლების გვარად.

მოწმობა პირველი გილდისა ყოველგან ღირს . . . . . . . . . . . . . . 265 მან. — კ.

მოწმობა მეორე გილდისა

პირველი ხარისხის ანუ კლასის ადგილებში ღირს . . . . . 65 მან. — »

მეორე ხარისხისა, ანუ კლასისა . . . . . . . . . . . . . 55 მან. — »

მესამე . . . . . . . . . . . 45 — — »

მეოთხესი . . . . . . . . . . 35 — — »

მეხუთესი . . . . . . . . . . 25 — — »

მოწმობა საწვრილმანო სავაჭროსი პირველი ხარისხის ანუ კლასის ალაგებში ღირს . . . . . . 20 — — »

მეორე კლასისა . . . . . . . 18 — — »

მესამესი . . . . . . . . . . . . . 15 — — »

მეოთხესი . . . . . . . . . . . . . 10 — — »

მეხუთესი . . . . . . . . . . . . . 8 — — »

### მოწმობა საწვრილმანო ვაჭრობისა მანიფაკტურული (ხელთ-სახმარი) და კოლონიალური საქონლებით ქალაქ გარე ალაგებში.

მოწმობა ურმით, ანუ სხვა რითიმე, სატარებელი სავაჭროსი ყოველგან ღირს . . . . . . . . . . 15 — — »

ხელით სატარებელი სავაჭროსი ღირს . . . . . . . . . . . 6 — — »

მოწმობა სოფლური მოსავლის საყიდველათ, თითო მუშაზე . . 2 — 50 კ.

მოწმობა უფროსი პრიკაშჩიკებისთვის . . . . . . . . . . 20 — — »

იმათ თანაშემწეებისთვის . . 5 — — »

### ბილეთები სავაჭრო და სააღებ-მისაცემო სახლის გახსნისთვის.

პირველი კლასის ადგილებში, პირველი გილდის ბილეთი ღირს 30 მან., მეორესი 20 მ., საწვრილმანო ვაჭრობისთვის ათი მანეთი.

მეორე ხარისხის ალაგებში, პირველი გილდის ბილეთი ღირს 25 მ., მეორესი 17 მ, საწვრილმანო სავაჭროსი [illegible] მანეთი. მესამე კლასის ადგილებში, პირველი გილდისა 20 მან., მეორესი 15 მ., საწვრილმანო სავაჭროსი ექვსი მანეთი. მეოთხე კლასის ალაგებში, პირველი გილდის ბილეთი ღირს 15 მ., მეორესი ათი მანეთი, საწვრილმანო სავაჭროსი ოთხი მანეთი. მეხუთე კლასის ალაგებში, პირველი გილდის ბილეთი ღირს ათი მანეთი, მეორე გილდისა ხუთი მანეთი, საწვრილმანო სავაჭროსთვის ორი მანეთი.

## წვრილი ამბები

(«დროების» № 2-დამ)

შარშანდელი წლის «დროების» მე-16-ნომერში მოხსენებული იყო, რომ დუშეთში საგლეხო ბანკის გამართვას აპირებენო. ეს საქმე ითავა დუშეთის უეზდის მმართველმა, უფ. ზუბალოვმა, რომლისთვისაც დიდი მადლობისა და თანაგრძნობის ღირსია. დუშეთის საგლეხო ბანკი უნდა შესდგეს იმ ფულებით, რომელნიც გლეხებს ერგებოდათ ხაზინიდამ ჯარებისთვის შეშის ბჟარაში. უფ. ზუბალოვის რჩევით, გლეხებმა არ აიღეს ეს ფულები (წელიწადში 686 მან.) და სამი წლის ხვედრი ფული, სულ 2058 მან, ბანკის დასაარსებლად გადადვეს. ზემონათქვამ შენიშვნაში ამას გარდა მოხსენებული იყო, რომ უფ. დუშეთის უეზდის მმართველი, თფილისის ღუბერნატორის წინადადებით, ბანკის პროექტს ადგენსო და მზათ იქნება თუ არა ეს პროექტი, საქვეყნოთ გამოაცხდებსო. ახლა უფ ზუბალოვმა გვაცნობა ჩვენ რომ პროექტი მზათ არისო და კიდეც წრუდგინე თფ ტისის ღუბერნატორს დასამტკიცებლათაო.

. . . . . . . . . . . . .

* * *

სოფელი ნ ა ფ ა რ ა ხ ე ვ ი დ მ, რომელიც გურიაშია, ჩვენი კორრესპონდენტი შემდეგ სასიამოვნო ამბავს გვწერს:

«ამ ღარიბი სოფლის საზოგადოება შესანიშნავია თავის მეცადინეობითა მღვიძარობით განათლების შესახებ: დიდი ხანი არ არის, რაც ამ სოფლის მცხოვრებლებმა შკოლა გახსნეს თავის ხარჯით და მასწავლებელი დაიჭირეს, რომელიც იმავე როს სოფლის სამმართველოში მწერლის თანამდებობასაც ასრულებს. ამ მიყრუებულ სოფლის მცხოვრებლებმა გაიგეს, რომ ნათლება ძალა არის და სცდილობენ, იმათ შვილებმა მაინც ისწავლონ რამე. მაგრამ ამაწაწინა გურულებს წახალისება და სწავლის სარგებლობის განმარტება არა სჭირიათ გაგიკვირდებათ, რომ ნახოთ, როგორის სიალისით მოდიან აქაურ შკოლაში, ხშირათ ორი და სამი ვერსის სიშორიდამ, თითქმის ტიტველა და ფეხშიშველა სოფლის პატარა ბიჭები და როგორის სიხალისით და ნიჭიერებით სწავლობენ ისინი.»

* * *

რკინის გზა გორამდი მზათ არის; დაწყობილია რელსები და საფშაო ვაგონები დაიარება კიდეცა. ამგვარათ ქალაქამდინ სამოც-

და ათი ვერსიდა რჩება. გაზეთი «კავკაზი» ამბობს, რომ ორი ხიდი არის გასაკეთებელიო და დეკემბრამდინ მორჩებიან აგებასაო. ჩვენ არა გვგონია, რომ ასე დაიგვიანოს, რადგანაც ამ ორ ხიდში ერთი გრაკალისა უკვე მზათ არის. დაბრკოლება თუ იქნება სადმე, ისევ იმ ტონნელისაგან, რომელიც სურამს ქედში გაჰყავთ და რომლის გაკეთება ძალიან აძნელებს თურმე საქმეს.

***

რკინის გზისსამსახურში რამდენიმე ქართველი კაციც არის. ეს გარემოება ჩვენ სასიამოვნოთ მიგვაჩნდა, რომ კერძო საქმეებშიაც ერევიან ჩვენი კაცები და მამა-პაპასავით არ თაკილობენ სახელმწიფო სამსახურს გარეთ მუშაობასა. მაგრამ, სამწუხაროთ, გავიგონეთ, რომ, თავის თანამდებობის რიგიანათ აუსრულებლობისათვის რამდენიმე იმათგანი დაუთხოვნიათ. ინგლისელებს ქეიფი მუშაობის დროს არ უყვართ და ჩვენ ბატონ-კაცებს მუშაობა... როგორ მოთავსდებოდნენ! თუ ეს ამბავი მართალია, ძლიან სამწუხაროა. შენი მტერი, თუ ჩვენებმა ამისთანა სახელი გამოიჩინეს, ამისთანა გაჭირებულ დროს, რიგიან კაცებსაც აღარ მიიღებენ რკინის გზის სამსახურში, იტყვიან «ქართველია, მოქეიფე კაცი იქნებაო!»

***

«კავკაზში» დაბეჭდილია, რომ შემახიაში ძლიერი მიწის-ძრა ყოფილა, რომელსაც ამ ქალაქისთვის დიდი ზიანი მიუცია. ამ სამწუხარო ამბის თაობაზედვე სომხურს გაზეთს «მშაკში» სწერენ, რომ მიწისძრას სხვათა-შორის იქ დაუნგრევია ორი სომხის ეკკლესია და ასზე მეტი კაცი მოუკლავს.

***

წელს ორი მზის დაბნელება იქნება და ორიც მთვარისა. მაგრამ ჩვენმხარეში კი მხოლოთ ერთი მზისა და ერთი მთვარის დაბნელება გამოჩნდება. პირველი მთვარის დაბნელება, რომელსაც ჩვენ დავინახავთ 11 მაისს იქნება; თფილისში ეს დაბნელება დაიწყება ნაშუაღამევის 1 საათზე და 40 მინუტზე და გათავდება 2 საათზე და 57 მინუტზე. მთვარეს მხოლოთ ცალი გვერდი დაუბნელდება. შემდეგ 25 მაისს იქნება მზის დაბნელება, რომელიც თფილისში დილის 4 საათზე და 49 მინუტზე დაიწყება და დილისვე 5 საათზე და 57 მინუტზე გათავდება. ეს დაბნელება სრული დაბნელება არ იქნება: ჯერ მარჯვენა მხარე გაუშავდება მზეს, მერე მარცხენისაკენ გადავა, ასე რომ შუაში მზე დაბნელებული იქნება და იქით-აქეთ კი მნათი, ბეჭედსავით.

მთვარის დაბნელება წარმოსდგება იმისაგან, რომ, როდესაც დედა-მიწა მზესა და მთვარეს შუა გაივლის, მზის სინათლეს აღარ მოუშვებს მთვარეზე; მზის დაბნელებაც იქიდამ წარმოსდგება, რომ დედა-მიწასა და მზეს შუა მთვარე გაივლის და ცალ მზის მხარეს დაბნელებს.

ნუ შეგეშინდებათ.... ამ მთვარისა და მზის დაბნელებისაგან არც ქვეყანა დაიქცევა და არც ბა[illegible]ლი გაუჩნდება ქათმებს მუცელში...


ბიბლიოგრაფიული განცხადება

სტამბიდამ გამოვიდა და ისყიდება

5 კაპ. პატარა სახალხო წიგნი 5 კაპ.

**არსენას ლექსი**

მესტვირეთაგან თქმული სახალხო პოემა

და

მენახირის ნაამბობი

პოემიდამ «კაკო»

ნიკოლაოზ ყიფიანისაგან გამოცემული

ფასი ერთი შაური.

სახალხო წიგნების გასავრცელებლად.

ისყიდება: მელიქოვის სტამბაში, გ. წერეთლის (დუბელირის) სტამბაში, ივანოვის ბიბლიოთეკაში და სხვაგან.


## განცხადება

«სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე

1872 წელს

ამ წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავისი მოვალეობა.

**ხელისმოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:**

თფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კამპ. (დუბელირის) სტამბაში, ხატისოვის სახლში, სერგიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ ლოლობერიძესთან, სილაზე.

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: ***Въ Тифлисъ, въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на углу Сололакской Сергіевской улицъ. Д. Хатисава.***

## ხელმოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ. | გაგზავნით |
|---|---|---|
| ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში — — — — — — — — — — — — | — 3 მან. — | — 4 მან.— |
| ნახევარ წლისა — — — — — — — — — — — | — 1 მ.—50 კ. | — 2 მ. — |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელი, გვარი და ადგილ-სამყოფი.

*Дозволено цензурою Тифлисъ 15 Января 1872 г.* გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.